# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, სახაზლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი — ოთხშაბათი. მარტის 31 1920 წ. № 69 — ფასი 5 მან.


უნუგეშოდ დარჩენილნი დედა მარიამ გრიგოლის ასული, მეუღლე—ქეთევან ივანეს ასული პატარა რუსუდანით, ძმები—რომანი შალვა, ვახტანგი და გიორგი, დები—ბარბარე, ქეთევანი და ქსენია სიმონიშვილები, დიდედა—პელაგია გრიგოლის ასული და ბიძა—დეკანოზი იაკობ ტარიშვილები მეუღლით და შვილებითურთ ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და თანამოსამსახურეთ, რომ კვირას 28 მარტს ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი საარმიო არტილერიის დივიზიონის ექიმი

## იოსებ (სოსო) ალექსანდრეს ძე სიმონიშვილი

წირვა და ანდერძი შესრულებულ იქნება დღეს ოთხშაბათს 31 მარტს სამხედრო ტაძარში წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება თბილისის წმ. მარინეს ეკლესიის გალავანში. 3001 1—1

---

ღრმათ მწუხარებაში მყოფნი ილარიონ ივანეს ძე პლატონ და ივანე ილარიონის ძენი რატიანები, ანასტასია ილარიონის ასული და მღ. რაჟდენ სიმონის ძე ჩარკვიშვილები, მარია ილარიონის ასული და აპოლონ კლიმენტის ძე გოგორიშვილები და ნინა ამბაკოს ასული ჩუნიშვილიძე, გაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ შაბათს 3-ს აპრილს (ახალი სტილით) (ქ. ხონი) სოფელ კონდითში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, პირველის დაუვიწყარ მეუღლისა, მეორეების და მესამების საყვარელ დედისა და მეოთხესი ლმობიერ ბებიასი.

## ვარდიკო კაციას ასულის რატიანის

სულის მოსახსენებლათ დასაწყისი წირვის დილის 10 საათზედ.
3039 3—1

---

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელისაბედ კონსტანტინეს ასული კლდიაშვილისა, და—მირიამ სიმონის ასული გელოვანისა და მეუღლე უკანასკნელისა სამსონ ჯანსოხის ძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას 29 მარტს ქ. თბილისში, პირველის ქალიშვილისა და მეორეს დისა.

## ელენე სიმონის ასული კლდიაშვილისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე გრიბოედოვის ქუჩა № 2. გამოსვენება დილის 10 საათზედ ხუთშაბათს 1-ლს აპრილს ქვაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვა გერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. 3038 1—1

---

ექიმი ალექსანდრე ლუკას ძე მეუღლით მარიამ და მელქისედეკ გრიგოლიევი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას საყვარელ და დაუვიწყარ პირველის შვილისა და მეორის ძმის წულისა

## ვახტანგისა

გამოსვენება და დასაფლავება იქნება პირველ აპრილს ადგილობრივ კათედრალურ სობოროში—სოხუმში. 2—3042—1

---

## სახელმწიფო თეატრი

მესხიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს, ოთხშაბათს 31 მარტს

## ჰოფმანის ზღაპრები

---

## 1-ლი აზერბაიჯანულ-ქართული „ნავთის მრეწველობის ამხანაგობა"

ქ. თბილისში, სასტუმრო „ავრორა", ვორონცოვის ძეგლის ახლოს.

განყოფილებანი ქ. სამტრედიაში, ქ. ხონში. მთავარი კანტორა ქ. ბაქოში, სტაროპოლიცკის ქ. № 114, ტელ. 30—56.

**ნავთით და ნავთის პროდუქტებით დაინტერესებულ პატივცემულ პირთა, ფირმების დაწესებულებათა საყურადღებოდ:**

მეტად ხელსაყრელ პირობებში და ხელმისაწვდომ ფასებში ვიღებთ სხვადასხვა სანავთო პროდუქტებისას, ტრანზიტს ყველა მიმართულებით, ყველ ჭურჭლით, როგორც ბიტონებში, ბოჭკებში, ცისტერნებში, საერთოდ ვაგონებით—სასწრაფოდ და სინდისიერათ. დამზადებული გვაქვს მუდმივი დეპოები კონტორასთან: თვითეულს, პატივცემულ მსურველ მომართვის, აქვს შესაძლებლობა შეიძინოს ჩვენი ფირმისგან სურვილისამებრ, ყოველგვარი სანავთო პროდუქტები, როგორც ნავთი, ნედლი ბენზინი, სამანქანო ცილინდრის ზეთი, საპნის სუროგატი და ყოველნაირი პროდუქტები.

ცნობების გაგება შეიძლება წერილობით და ტელეგრამით შემდეგ ადრესით: „თბილისი, „ავრორა", სანავთო ამხანაგობა. კონტორა ღიაა დღის 9—3 და საღ. 6—8 ს. 3034 3 1

---

## ქართული კლუბი

ოთხშაბათს 31 მარტს 1920 წელს.

რუსულ დრამის „ტარტის მიერ წარმოდგენილ იქნება.

## „მარგარიტა გოტიე"

5 მოქმედ. დიუმასი.

მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 2—61—2.

---



## ქიმერიონი

(რუსთაველის პრ., 23,)

ყოველ დღე 1—5 საათამდე.

სადილები

ოთხშაბათს, მარტის 31-ს

## დიდი საღამო

პროგრამაში ინსცენირობა და შარჟები ქართულ ენაზე.

შეუდარებელი წყვილი სალონურ ცეკვის

**ტრუზი და ველტე და სხ.**

დასაწყისი საღ. 11 ს.

---

კვირას 7-ს მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი"

„სასოფლო გაზეთს" აქვს შემდეგი განყოფილებანი:
სამინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში" მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს" ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან.
თითო ნომერი 3 მან. რედაქტორი ნიკო კაიშაური 4 3 17

---



პირველ-ხარისხოვანი

## ცირკი „პრისტენს"

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.

ოთხშაბათს მარტის 31 ს 1920 წ.

გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა, ახლად ჩამოსულ იაპონელ ტრუპას ნაიტოს მონაწილეობით. ეკვილიბრისტი ქალები ძლიერ დაჭიმულ მავთულზე.

ფრანგულ ჭიდაობის ჩემპიონატის გაგრძელება მსოფლიო ფალავნის სახელის მოპოვებისათვის 1920 წ.

არბიტრი ვალოდია კვიატოვსკი.

დღეს იჭიდავებენ გამოჩენილი ფალავნები:
1) გადამწყვეტი ჭიდაობა შავი ნიღაბი—ნეიშვენდნი.
2) ერმაკოვი—ბუიგოლოვი.
3) ჭიდაობის ორი ტეხნიკოსის შეხვედრა. ზაგორუიკო—ფილიპენკო.

ანონსი: ამ დღეებში ცნობილ თბილელ ავტორ-იუმორისტის მესხიშვილის ბენეფისი.

დასაწყისი: 8 ნახ. საათზე პარადი 10 ნახ. საათზე.
გამგე: იურიევი.

---

პირველხარისხოვანი რესტორანი

## „მტკვრის-პირას"

ვორონცოვის ძეგლთან. ტელ. 11 53.

**ევროპიული და აზიური კერძები**

ადგილობრივი და საზღვარგარეთული სასმელები საუკეთესო ფირმებისა და მარკისა.

შეიძლება დაკვეთა ყოველგვარ ნადიმ-ზეიმისა.

რესტორანთან მოწყობილია საუკეთესო ახლად შეკეთებული მყუდრო

**საოჯახო დარბაზები**

რესტორანი ღიაა დღის 10 ს. ღამის 2 საათამდე.

3004 10—2 პატივისცემით დირექცია.

---

მიხეილის

## ალკრე

პლეხანოვის ქ. 91

დღეს

ჩვენთან ორი პროგრამა ერთად:

ახალი ნომერი

1. **„დაცემულს ხელი ჰკარ"** დრამა 4 მოქმედებად.

ა. ვერტინსკის

სიმღერების ავტორის მონაწილეობით

2. პარიზიდან ეხლახან მიღებული

„ხ ე ლ ი ს ს ი მ ღ ე რ ა"

დრამა 4 მოქმედებად.

ულამაზესი ლ. პ უ ა ნ კ ა რ ე ს მონაწილეობით.

ანონსი: ამდღეებში დიდებულ კომპოზიტორ ბეტჰოვენის კვირაა, იკითხეთ აფიშები.

---

## ქალთა მე-7-ე წმ. ნინოს გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ შაბათს, აპრილის 3-ს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია საჯარო გაყიდვა

## ძველი პიანინოსი

გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქ. 13). ხელმეორედ გაყიდვა 7 აპრილს, 12 საათზე. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში, იქვე შეიძლება დათვალიერება გასაყიდი პიანინოსი ყოველ დღე 2—3 საათამდე.

2 3006—1

---

პირველი ხარისხის რესტორანი

## ედემი

გვაქვს პატივი ამით ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ შედგა ამხანაგური არტელი ყოფილი კ. ნ. ბაქრაძის 1 ხარისხოვანი რესტორანი ვერაზე და წლი-ნახევარის დახურვის და დიდი შეკეთების შემდეგ ამ დღეებში ისევ აიწყებს წარმოებას. ამხანაგების მონდობილობით ბაქრაძე.

30—3044—1

---

## საქართველოს მწერალთა კავშირი

იწვევს ამა წლის 4 აპრილს

## ქართველ მწერალთა მეორე ყრილობას

ყრილობა გაიხსნება ქართულ კლუბის დარბაზში.

ყრილობის წესრიგი:

1. მოხსენება საბჭოს მოღვაწეობის შესახებ.
2. საბჭოს ანგარიშები.
3. მიმდინარე საკითხები.
5. საბჭოს წევრთა არჩევნები.

55 5 1

---

გაიხსნა კავკასიაში პირველი

## დაწნული ავეჯის ქარხანა

## საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირისა.

ვენურ ავეჯეულობის გარდა ქარხანაში მზადდება ავტომობილის რკალები, ფერსოები და სხვა.

მისამართი: ჩერქეზიშვილისა და ანტონოვის ქ. კუთხე № 1. 62 5—1

აპოლლო ... კინო-პალასი

## დ ღ ე ს

(ოთხშაბათს მარტის 3-ს)

# მამაო სერგი

ლევ ტოლსტოის მოთხრობით

(თავადი კასატსკი)

სერგი—მოზჟუხინი ქმრის მაკოვკინისა—ლისენკო

დადგმა პროტაზანოვის

დარბაზში შესვლა შეიძლება მხოლოდ სეანსების დაწყებამდის

კინო-პალასში: საღამოს 5, 7 და 9 საათზე. → აპოლლოში—სედ. 5 ნახ., 7 ნახ. და 9 ნახ. საათზე.

3040 1—1 ფასები მომატებულია. → კასები ღიაა საღამოს 4 ნახ. საათიდან.


## დ ღ ე ს:

საბჭოთა რუსეთის საზავო მოლაპარაკება გაწყვეტილი პოლონეთსა და ლატვიასთან.

რურის ხეობაში მთავრობის ჯარები მუშებს ებრძვიან.

ბოლშევიკები ჰელსინგფორსს უტევენ.

### წ ე რ ი ლ ე ბ ი:


მეთაური—საქართველოს ეკონომიური წარმომადგენლობა.
— ახალი რუსეთის ამოცანა.
აზერბაიჯან-სომხეთის კონფლიკტი.
ბ. გორდეზიანი—აზიის მოლოდინი.
რ. ნიკოლაძე—პოლიევქტოვისა—სიტყვარზე და სიტყვებზე.


## საქართველოს ეკონომიური წარმომადგენლობა

ჩვენს გაზეთს არა ერთხელ აღუნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის დღეს, წესიერ წარმომადგენლობის მოწყობას უცხოეთში. ამ დრომდე, საქართველოს წარმომადგენლებს და იმ დელეგაციებს, რომელნიც ევროპაში იგზავნებოდენ, ერთი მთავარი დანიშნულება ჰქონდათ: მიეწოდებიათ სწორი, პოლიტიკური ინფორმაცია ევროპისათვის საქართველოს შესახებ და, პროპაგანდა გაეწიათ მისი დამოუკიდებლობის დასაცავად—ეს გარემოება უკარნახებდა ჩვენს მთავრობას, რომ თავისი დელეგაციები გაეგზავნა განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაგანაც დამოკიდებული იყო საქართველოს პოლიტიკური სვე-ბედი.

დღეს ეს მთავარი მიზანი უკვე მიღწეულია: საქართველო ცნობილია ანტანტის მხრივ და სხვა სახელმწიფოებსაც არაფერი აქვთ საწინააღმდეგო ამის;—ამიტომ, ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ უკვე იმ ქვეყნებსაც, რომელთანაც გვიხდება ეკონომიური ურთიერთობის გაბმა და კეთილ განწყობილებათა დამყარება. ამასთან ერთად ანტანტის ქვეყნებიც, სადაც ჩვენ ჯერხნობით მხოლოდ პოლიტიკური წარმომადგენლობა გვაქვს, უნდა დავაარსოთ ეკონომიური სააგენტოები, რომელნიც მუდმივ ცნობებს მოგვაწვდიან იმ ქვეყნების ეკონომიური ვითარების შესახებ და ამით, გაგვიადვილებენ ჩვენს ურთიერთობას იმ ქვეყნებთან.

მსოფლიო ბაზარზედ, საქართველო დღეს დიდ ინტერეს იწვევს იმ ნედლი მასალით, რომელიც უხვად მოიპოება ჩვენს ქვეყანაში და რომელსაც მოკლებულია ევროპა — მთელი რიგი უცხოეთის ფირმების, სხვა და სხვა წინადადებებით მოდიან საქართველოში ამ ნედლი მასალის საძებრად და, ჩვენ დიდი გამოცდილება და მსოფლიო ბაზარის შესახებ უტყუარი ცნობები გვჭირდება, რომ წაგებულნი არ დავრჩეთ საქონლის გაცვლა—გამოცვლის საქმეში, რაც დღეს უმთავრესი ღერძია ჩვენი ეკონომიური და ფინანსიური პოლიტიკისა.

სამწუხაროთ, ამ მხრით, აქამდე ჩვენს მთავრობას, თითქმის არაფერი გაუკეთებია; მთელი ჩვენი საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე, მომარაგების სამინისტროს შინ აღზრდილ კოოპერატივების ყოფილ ნოქრებს აბარიათ (და აბარიათ კიდეც), რომელთაც არც ცოდნა და გამოცდილება შესწევთ ამ საქმის და არც სათანადო ცნობები აქვთ უცხოეთიდან; ამიტომ, ჩვენი მთავრობა, უცხოეთის ფირმებთან ურთიერთობაში, უმეტეს წილად მოტყუებული რჩებოდა; ეს ნაკლი, რაც შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს: ევროპის ყველა დიდ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში უნდა დაარსდეს ეკონომიური სააგენტოები, რომელთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენდეს სწორი ცნობების მოწოდება ჩვენი მთავრობისათვის იქაური ბაზარის მდგომარეობის შესახებ და უშუალო ურთიერთობის გაბმა უცხოეთის დიდ მწარმოებელ ფირმებთან.

ამ საქმის მოწყობა უნდა დაევალოს იმ ეკონომიურ მისიას, რომელიც ბ-ნ კანდელაკის მეთაურობით ამ დღეებში მიემგზავრება ევროპაში.

მაგრამ ამ ეკონომიური სააგენტოების დაარსების გარდა, საქართველომ მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს მეზობელ ქვეყნებთან; აზერბაიჯან-სომხეთის გარდა, ძველი საქართველო, ძალიან დაახლოებული იყო ოსმალეთთან, სპარსეთთან და სხვა ქვეყნებთან, რომელთა შორის ზოგან უკვე არსებობს ჩვენი წარმომადგენლობა, ზოგან კი არა!

ამ სახელმწიფოთა შორის, საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სპარსეთს, სადაც დღეს მრავალი ქართველობა სცხოვრობს და სრულიად მოწყვეტილია თავის სამშობლოს.

ჩვენი გაზეთის მკითხველნი, გუშინდელ №-ში წაიკითხავდენ ცნობას თეირანიდან, რომ „ქართველებს არსად არა ჰყავთ თავის უფლების დამცველი ადმინისტრაცია უმართებულოდ ავიწროებს მათ, რუსეთის ქვეშევრდომებად სთვლიან და მრავალმა ქართველმა დევნა-შევიწროებისაგან თავდასახწევად სპარსეთის ქვეშევრდომობაც კი მიიღო“.

ჩვენი თანამემამულეთა ასეთ მდგომარეობაში ჩაგდება, ყოვლად შეუწყნარებელია!

[illegible]

დიდი ხნის წინეთ თავის სამშობლოს მოწყვეტილ ქართველობას, უნდა ვაჩვენოთ თანამედროვე აღმსდგარი საქართველოს სახე და დაკარგულნი თავის კერას დავუბრუნოთ!

სპარსეთთან ურთიერთობის გაბმას, სხვა მნიშვნელობაც აქვს: სპარსეთში დღეს დიდძალი სურსათია დაგროვილი, რომელიც ჩვენთვის ძლიერ საჭიროა და ამასთან ერთად იქ ჩვენი ფული, თითქმის არაფერს ფასობს — ჩვენი წარმომადგენლობა უნდა შეეცადოს გამოასწოროს ეს მდგომარეობა და სპარსეთთან მჭიდრო მეგობრული კავშირი დაამყაროს!

დაყოვნება ამ საქმეში შეუძლებელია!

## ახალ რუსეთის ამოცანა

(Temps).

„საბჭოთა მთავრობა იუწყება, რომ მათ არხანგელსკი დაიჭირეს. მეორე მხრივ თეირანიდან არის ცნობა, რომ ბოლშევიკებმა, ავღანისტანის ჰერატი (Herat) ჩაიგდეს ხელთ. არც ერთი ეს ამბავი არ არის მოულოდნელი. ბოლშევიკური პროპაგანდა გვაძლევდა საშუალებას რომ ეს განგვეჭვრიტნა. არხანგელსკის გარშემო ატეხილ ბრძოლის შედეგებმა ფინლანდიის მდუდროება დაარღვია. ფინლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრმა დიდი ყურადღება მიაქცია რუსულ ქარელის ვიბორგში წარმოთქმულ სიტყვაში. მან ქარელის თვითმმართველობის უფლებაც ალიარა. ფინლანდიის უმაღლესი წრეები დაინტერესდნენ აგრეთვე რუსულ ტერიტორიითაც. პეჩენელებმა მიტომ დაიჭირეს ეს ზღვის პირის ოლქი, რომ რუსეთი ჩამოეშორებინათ დიდიხნის მშვიდობიან მეზობელთან ნორვეგიასთან. ეს პოლიტიკა რომ მოხერხებულად გაგრძელებულიყო ფინლიანდია გახდებოდა მურმანის ნაპირის და იმ რკინის გზის პატრონი, რომელიც აერთიანებს პეტროგრადსა და ყინვით არასოდეს დაფარულ ნაპირს. მაგრამ თუ მოსკოვის მთავრობა ხელთ იგდებს არხანგელსკს, იგი თავის გავლენას შორეულ ჩრდილოეთამდის გაავრცელებს და მომავალ რუქა შეცვლება ფინლიანდიის გავლენა რუსეთზე მოისპობა, პირიქით ფინლიანდიაში ბოლშევიკურ აგიტაციის ნიშნები თანდათან აშკარავდებიან.

ცენტრალ აზიაშიც ბოლშევიკებს დიდი გავლენა აქვთ. მათ დაიჭირეს კასპიის ზღვის პორტი კრასნოვოდსკი საიდანაც მიდის კასპის რკინის გზა ბოლშევიკებმა დაიწყეს სარატოვ-ტაშკენტის რკინის გზის გაყვანა ურალსკზე სიგრძე რკინის გზისა 650 ვერსი. სადგურები და წყალ სადენები უკვე მზადაა. თუ ბოლშევიკური მთავრობა ასე გამაგრდა კასპის ზღვის აღმოსავლით ნაპირას და შესძლო ახალ რკინის გზის ხაზის გაყვანა თურქესტანში გასაკვირველი არ არის ბოლშევიზმის ავღანისტანში შეჭრა. თუ საბჭოთა რუსეთის განკარგულებაშია ყველა რკინის გზები კასპიის, თუ მისი გავლენის ქვეშაა მთელი დასავლეთი ავღანისტანი და თუ იგი უფრო ადრე იცნეს ბუხარაში,—მაშინ როგორ შეიძლება რომ სპარსეთი ბოლშევიზმისგან გადარჩეს? ბოლშევიკებს პირდაპირი კავშირი აქვთ სპარსეთთან და სულ რაღაც 900 კილომეტრით არიან დაშორებულნი. ინდოეთ-სპარსეთის ხელშეკრულება ხომ დიდძალ საავტოპაციო მასალას აძლევს მათ. მათ შეუძლიანთ ახლა ლუონ ხალხი ბრიტანეთის პროტექტორატის წინააღმდეგ და თავიანთი თავი ირანის განმანთავისუფლებლად დასახონ.

უმაღლესი საბჭო განიხილავს არა მარტო პოლონეთის და რუმინეთის საკითხებს.

რაც შეეხება პოლონეთის საკითხს, ლლოიდ-ჯორჯმა ჯერ ისევ ვესტმინსტერში ასე გამოხატა თავისი პასუხი: ჩვენ ხელს არ შევუწყობთ და არც მოუწონებთ საქციელს რუსეთზე ამხედრებულ არც ერთ პოლონელს ჩვენ გენერალ პილსუდსკის სრული თავისუფლება მივანიჭეთ საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებაში. რაც შეეხება რუმინეთს, იგი სამინისტროს კრიზისის წინაშე სდგას და ჩვენ მოვიცდით მანამდის, სანამ მისი შინაური მდგომარეობა გამოირკვევა. ყოველივე ამის შემდეგ ისმება საკითხი? რას უმზადებს ქვეყნიერობას ეს ჯადოსანი ძალა ახალი რუსეთისა. მოკავშირეთა მთავრობებს არ შეუძლიანთ თავის მხრივ, თავისი ხალხი სრულს უცოდინრობაში დახტოვონ. უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ლლოიდ-ჯორჯი ჯერ ისევ დეკემბერს მომხრე იყო რუსეთისადმი ახალ პოლიტიკისა. ეხლა საჭიროა განმარტება, თუ რა პირობებში ვითარდება ეს პოლიტიკა და რის მოტანა შეუძლიან მას. მან უნდა იცოდეს თუ საით მიდის რუსეთი და საითკენ ჰსურს წასვლა. ჰგონია თუ არა მას, რომ საბჭოთა მთავრობა მომავალში შესწყვეტს მსოფლიო რევოლიუციისათვის მუშაობას? ერთი მეტად განვითარებული ფრანგი, რომელიც დიდი ხანს ცხოვრობდა მოსკოვში და ბოლშევიკების მიმდევარი გახდა, სწერდა ერთ თავის ამხანაგს. ყოფილ პროფესორს „ლენინის სიტყვით, ჩვენ შორის ძევს გახრწნილი გვამი ბურჟუაზიისა და განაგრძობს ჩვენზე ნეშუღების გაღადებას. თვით საბჭოთა რუსეთსა და ესტონეთს შორის დადებული ხელშეკრულება შეიცავს ფარულ პირობას, რომლითაც ბოლშევიკებს უფლება ეძლევათ რეველში პროპაგანდა გასწიონ. ბოლშევიკების აგენტები არეულობას არ გამოიწვევენ რეველში მაგრამ ექნებათ კავშირი შეერთებულ შტატის ბოლშევიკებთან და მათ საჭიროებას ტელეგრაფით მოსკოვს შეატყობინებენ შეიძლება ეს მალე გამოაშკარავდეს მაგრამ ისმის საკითხი ხდება თუ არა ფენები საბჭოთა რუსეთი? ეს საკითხი, რომელსაც აყენებს ხალხი და იმის დასამტკიცებლად რომ ბოლშევიზმი ძლიერდება—ასახელებენ ძველ რეჟიმის რუს გენერლებს რომელთა რიცხვი წითელ ლაშქარში დღითი დღე იზრდება.

რჩება კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა როგორ დამოკიდებულებაში იქნება გერმანეთი ახალ რუსეთთან. ბოლშევიკები სარგებლობენ გერმანელების მანქანებით მედიკამენტებით და ნახშირით. მათვე ეხმარებიან გერმანელი ცოცხალი ძალები ბერლინში მყოფი ბოლშევიკების დელეგატი აცხადებს, რომ ციმბირის მიწები გერმანელ კომუნისტებს ელის.

რუს მუშათა და გლეხთა ეხლანდელი მთავრობა დიდ მეგობრულ განწყობილებაშია გერმანეთთან. მხოლოდ რუსის ერი არ ავიწროვებს გერმანეთს და მხოლოდ გერმანელები უწყობენ ხელს მუშათა თავისუფალ და მშვიდობის მოყვარე მთავრობის განმტკიცებას.

ვიდრე უმაღლესი საბჭო რუსეთის საკითხებში გაერკვევა კარგი იქნებოდა გვცოდნოდა თუ რას ფიქრობს ლლოიდ ჯორჯი ასეთს დამოკიდებულებაზე? რაც შეეხება საფრანგეთის მთავრობას, მას, როგორც სხვა ქვეყნების მთავრობებს, არ ძალუძს ამ გამოუცნობ ახალ რუსეთში გარკვევა, მაგრამ იგი დიდის ყურადღებით ეძიება ყოველ ახალ ცვლილებებს ამ მხრივ იგი უკეთეს პირობებშია.

და აზერბაიჯანზე [illegible] შემოტევა დაიწყო. [illegible]თა წარმომადგენლები შეთანხმდნენ ერთ თვალსაზრისის გარშემო. უპირველესად, ეს წარმომადგენლები ძლიერ ეჭვობენ, რომ საბჭოთა რუსეთმა თავისი სამხედრო მოქმედება გადმოიტანოს ანტანტის მიერ აღიარებულ რესპუბლიკებში, რომელნიც ცხოვრობენ თავისი დამოუკიდებლობით, რადგან მაშინ გაბათილდება საბჭოთა რუსეთის ყველა ის დასაბუთებანი, თითქოს იგი იბრძვის მხოლოდ დენიკინის წინააღმდეგ როგორც მონარქიის რესტავრატორის. შემდეგ გამოითქვა რწმენა რომ საბჭოთა ჯარების ამ რესპუბლიკების შემოტევის შემთხვევაში, ანტანტი იძულებული იქნება ამ რესპუბლიკებს დახმარება გაუწიოს, არა მარტო იარაღით და მასალით არამედ ჯარებითაც, სხვათა შორის ეს დახმარება იქნება უფრო ძლიერი და რეალური იყო ვიდრე დახმარება დენიკინისთვის.

ამას გარდა მოსალოდნელია ბლოკადა რუსეთის და სხვა ღონისძიებანიც. მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა საჭიროდ მიიჩნიეს რომ მათ ეხლავე მისცენ ვრცელი ინფორმაცია თავის მთავრობებს დღევანდელ მდგომარეობის შესახებ რათა ყველაფერი მზად იყოს ყოველ შემთხვევისათვის.

**თავდაცვითი კავშირი.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევ. გეგეჭკორის და აზერბაიჯანის მთავრობის შორის მოლაპარაკებაა თავდაცვითი კავშირის შესაკვრელად მათი დამოუკიდებლობის საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ დღეებში ამის გამო გამოქვეყნდება ორივე მთავრობის დეკლარაცია.

**სომეხთა და მაჰმადიანთა კონფლიქტი და ე. გეგეჭკორი.**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებთან კერძო საუბარში შეეხო სომეხ-მაჰმადიანთა შორის უკანასკნელად მომხდარ ამბებს.

როგორც ცნობილია, ბ. გეგეჭკორს ეკუთვნოდა ინიციატივა თბილისში სამივე პრემიერების შეყრისა სომეხ-მაჰმადიანთა კონფლიქტის გადასაჭრელად, მაგრამ მაშინ დაწყებული მოლაპარაკებანი დღესაც არ დასრულებულა საქართველოში, ბოლშევიკების წინსვლის მიზეზით. ბ. ე გეგეჭკორი ჰგრძნობს რა იმ დიდ ზიანს სამივე რესპუბლიკისათვის, რომელიც მოაქვს დღეს სომეხთა და მაჰმადიანთა შორის მომხდარ ამბებს, ჰფიქრობს კვლავ მიიღოს ინიციატივა თბილისში საბოლოო კონფერენციის მოწვევის სამივე რესპუბლიკისათვის ერთნაირად საინტერესო კითხვების სასწრაფო გადასაჭრელად.

## მდგომარეობა გერმანიაში.

### ფრანგული პრესა

(საქ. დეპ. სააგ.)

**მთავრობის კრიზისი.**

გერმანიაში მთავრობის კრიზისი გრძელდება. მიულერის კაბინეტში კიდევ ხდება ცვლილებანი. კოალიციურ მთავრობის სამ ჯგუფს შორის თითქოს პორტფელთა განაწილებაში შეთანხმება მოხდა. სოციალისტური უმეტესობა ღებულობს 5 ადგილს ამაში შედის კანცლერის პოსტიც, დემოკრატები და ცენტრი ღებულობენ 4 ადგილს, მაგრამ სამინისტროთა განაწილება მეტად ძნელია და კვირა დღის გამოქვეყნებულ სიას საბოლოო გადაწყვეტილების ხასიათი არა აქვს. ამ კაბინეტს იმის მეტი მიზანი არა აქვს, რომ საქმე მიიყვანოს არჩევნებამდე, რომელიც მაისში უნდა მოხდეს. ერთად ერთი დაკმაყოფილება, რომელიც სოციალისტურ ელემენტებს მიენიჭათ, ეს იყო ნოსკესა და შიფერის მოშორება. იქ ყოფნიდებიან რურში, ვეზელის სამხრეთით მომხდარ შეტაკებების შესახებ. ჯარები ყოველ გვარ ძალას ხმარობენ, რომ მისვლა-მოსვლა გახსნან ჰოლანდიასთან.

**მთავრობის ჯარის შეტაკება მუშების ჯართან.**

ლიონი 28. გერმანიის პროლეტარიატის დანარჩენ კლასებთან ბრძოლა სისხლიან კრიზისში შედის, რადგანაც მთავრობის ჯარი მუშათა ჯარს უტევს. ვეზელის დასავლეთით ორ ჯერ დაახვიეს მუშებს. ვეზელის მახრაში არტილერიით მოკლული იქნა 40 მუშა. საარტილერიო ცეცხლი დემორალიზაციას ახდენს წითლებში, რადგან მათი არტილერია მცირე რიცხვიანია და მოსამსახურეები არ მიჩვეულან მასზე მუშაობას.

### გერმანული პრესა

**გერმანიის ჯარი**

(დასაწყისი არ მიგვიღია) ...ჯარში მშვენიერი სულიერი განწყობილებაა და ამაღლებული ზნეობაა. კარგი დამოკიდებულებაა ოფიცრებსა და ჯარის კაცებს შორის. მე მთხოვეს მოკავშირეებს ვამცნო, რომ რურის ხეობის პროლეტარიატს არავითარ ბოროტი განზრახვა არა აქვს მოკავშირეთა მიმართ. მას სურს მხოლოდ გერმანიის მილიტარიზმის ნაშთის მოსპობა. მთავრობის ჯარისკაცებს წითლები „ნოსკეს ხალხს“ უწოდებენ. მათ არ იციან ნოსკეს, როგორ თავდაცვის მინისტრის გადადგომის ამბავი. მე მათ მომცეს თავისუფლად წასვლა წამოსვლის ბარათები და ყველგან თან დამყვბოდა ორი ოფიცერი. არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ არის ყაჩაღობისა და უწესობისა. მრავალ სოფლებში ხალხი მუშაობას დაუბრუნდა, ქარხნები მუშაობენ, დუქნები ღიაა, მთავრობის ჯარების მიერ დაკავებულ ხაზის სამხრეთით ცხოვრება ნორმალურია და არავითარი არეულობა არ არის... ჯარების მთავარი ცენტრია დიუსბერგი დინგლისაკენ და ჰამბორნი. მთავარი შტაბები დუისბერგშია. დუისბერგსა და ფრონტს შორის მიმოსვლა კარგათ არის მოწყობილი. ჯარს აქვს საველე არტილერია, მაგრამ არა საკმაოთ. ოფიცრები მეუბნებოდენ: წითლები ამ ცოტა ხანში ელიან ფრონტზე მძიმე არტილერიის მოტანასო. როდესაც მე ვკითხე თუ საიდან, მათ მიპასუხეს: რუსი ტყვეების დიდი ნაწილი კონცენტრაციულ ბანაკიდან გაიქცა შიგა გერმანიაში მთავრობისათვის წართმეულ ზარბაზნებით. მე არ ვფიქრობ, რომ მათ მიიღონ მძიმე არტილერია ესსენიდან, სადაც რევოლიუციის დაწყებისას მათ რამდენიმე ზარბაზანი ხელთ იგდეს. როგორც კი ზარბაზნებს მიიღებენ, მაშინვე დაიწყება ვეზელზე გენერალური შეტევა. ამ დილით წითლები ვეზელზე რამდენიმე ასი მეტრით იყვნენ დაშორებულნი. ისინი ზარბაზნის ყუმბარებით შეგვხდენ და ჩვენ იძულებული შევიქენით უკან დაგვეხია. მთავრობის ჯარები ქალაქს მედგრათ იცავენ. ჩვენ წავედით ფრიდრიხსფელდში, როდესაც მთავრობის ჯარები უტევდა. წითლები იძულებულნი შეიქნენ წასულიყვნენ ქალაქიდან, რომელიც მთავრობის ჯარებმა დაიკავეს.

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, ანტანტა და ბოლშევიკები

„ბაკინეცი“ იუწყება:

„თბილისიდან ტელეფონით გვატყობინებენ, რომ ერთ პოლიტიკურ სალონში თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს (საფრანგეთის იტალიის და ამერიკის) საუბარი ჰქონდათ იმ მოქმედების და ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც მათ უნდა მიიღონ უკეთუ საქართველოსა

## სომხეთი და ბოლშევიზმი

გაზ. „ბაკინეცი“ იუწყება, რომ საზოგადოებრივ პოლიტიკურ წრეებში დიდ სჯასა და კამათს იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ფრონტებთან ბოლშევიკურ ფრონტის მოახლოვებით, რამდენადაც ეს რესპუბლიკები ემზადებიან მომდგარ საფრთხისათვის, იმდენად სომხეთის რესპუბლიკა ასეთ დიდ საკითხში არავითარ ყურადღებას არ იჩენს მათდამი.

მაშინ, როცა სომხეთში სამოქალაქო ომის მეზობელ რესპუბლიკებიდან გადმოტანის დროს, თვით სომხეთი ვარდება დიდ ხიფათში, რადგან როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთი სომხეთს გარკვეულად სცნობს, მოხალისეთა მოკავშირედ.

მაშინ, როცა საბჭოთა რუსეთი ნოტებით ეძებდა ურთიერთობას საქართველოსა და აზერბაიჯანთან, იგი ერთი სიტყვითაც არ გაელაპარაკა სომხეთს და არც ერთ შეთანხმებაზედ არ დათანხმდა სწორედ ისევე, როგორც დობრარმიასთან.

სომხეთის მთავრობის დუმილს ასეთ საპასუხისმგებლო მომენტში, ზოგიერთი წრეები ამართლებენ მით, რომ თვისი გეოგრაფიული მდებარეობით საქართველოსთან და აზერბაიჯანთან შედარებით, სომხეთს არ ელის დიდი საფრთხე და როცა მომენტი მოითხოვს, იგი მიუხედავად ყველაფრისა, გამოვა საქართველოსა და აზერბაიჯანთან შეთანხმებით.

## ოსმალეთის ავანტიურა ბათუმის ოლქში

ამ სათაურით გაზ. „აშხატავორი“ იუწყება:

„ბათომიდან მიღებული კერძო ცნო-

ბების თანახმად ოსმალეთ აჭარელი ბანდები თავს დაესხნენ ბათუმის ოლქის საზღვრების მცველ ინგლისელ დარაჯებს, რომელთაც აიძულეს უკან დახეულიყვნენ მათ მიერ დაჭერილ პოზიციებიდან. დასახმარებლად მოსულმა ინგლისელ ჯარის კაცთა რაზმმა აღადგინა მდგომარეობა, მტრისათვის დიდი დანაკლისის მიყენებით. როგორც ამბობენ, ინგლისელებს დაუკარგავთ 31 კაცი მოკლული და დაჭრილნი".

# უცხოეთი

## აზერბაიჯანი

### აზერბაიჯანის კაბინეტის კრიზისის გარშემო

გაზ. „ბაკინეცი" იუწყება:

ბაქოში გავრცელებული ხმები, რომელიც პრესსაშიც გამომჟღავნდა, აზერბაიჯანის მთავრობის გადადგომისა და ახალი მთავრობის შედგენის გ. ჰაჯინსკისთვის მინდობის შესახებ, სინამდვილეს არ შეეფერება. არავითარი ცვლილება მთავრობის კაბინეთში არ არის მოსალოდნელი და თვით შრომის მინისტრის სოციალისტის ა. ბ. პეპინოვის გადადგომაც ვერ გამწვავებს ამ საკითხს.

სამაგიეროდ, უკანასკნელ ხანებში ბოლშევიკურ ფრონტის მოახლოვებასთან ერთად მთავრობას უფრო დიდი ერთსულოვნობა ეტყობა,—სხვათა შორის ოპოზიციური პარტიებიც კი მიდიან კომპრომისებზე, რათა არ შეიქმნეს მთავრობის კრიზისი ასეთ საპასუხისმგებლო ხანაში.

დღევანდელი მუსსავატური მთავრობა, რომელსაც პარლამენტში ძველებურად ჰყავს დიდი უმრავლესობა, სარგებლობს პარლამენტისგან მხარის დაჭერით და ახლანდელ პოლიტიკურ კონიუნქტურის დროს მისი გასვლა მთავრობიდან ყოვლად შეუძლებელია.

### კოალიციური სამინისტრო

როგორც „ბაქ. სლოვო" იუწყება, პარტიათა განწყობილებაში გარდატეხა მოხდა და გამოირკვა სრული შესაძლებლობა კოალიციურ სამინისტროს შედგენის სოციალისტებისა და იტიხადის მონაწილეობით, ქვეყნის თავდაცვის პლატფორმაზე საერთო მტრის წინააღმდეგ.

### სავაჭრო გაცვლა გამოცვლა რუსეთთან.

ამავე გაზეთის ცნობით, ბაქოს ნავთის მრეწველთა ფირმებს, ცნობები მიუღიათ საბჭოთა რუსეთიდან, რომ უსათუოდ საჭიროა იქ გაიგზავნოს სანავთო პროდუქტები.

### თხოვნა პატიების შესახებ.

გაზ. „ისკრა"-ს ცნობით, დონის, ყუბანის და თერგის უმცროს „კრუგის" წარმომადგენლებმა თბილისიდან ტელეგრამით მიმართეს აზერბაიჯანის მთავრობას, რათა მან შეიწყნაროს დაპატიმრებულნი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მათ წინააღმდეგ სასიკვდილო შეთქმულებაში.

### პოლიტიკურ მდგომარეობისთვის.

გაზ. „ისკრა"-ს ცნობით საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობანი სამხედრო მომზადებასთან ერთად განაგრძობენ მოლაპარაკებას ზავის შესახებ საბჭოთა რუსეთთან.

## ჩრდილო-კავკასია

### დარუბანდის აღება

ჩრდილოეთ-კავკასიის თავდაცვის საბჭოს დიპლომატიურ წარმომადგენლის საინფორმაციო განყოფილება აზერბაიჯანში იტყობინება:

ღამის 4 ს. 24 მარტს, ქ. დარუბანდის მიდამოებში ჩვენმა ნაწილებმა შეუტიეს მტერს და 3 საათის ბრძოლის შემდეგ აიღეს და გამაგრდნენ დარუბანდში. მოხალისეთა ნაწილები, რომელნიც დარუბანდს იცავდნენ, ზოგი ტყვედ ჩაგვივარდენ და ზოგიც თავის ნებით გადმოვიდნენ ჩვენს მხარეზე. უკან დახევის გზები გადაჭრილი ჰქონდათ—გემები არ მოიპოვებოდა. მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოხალისეებისა გაიქცა ზღვის ნაპირებზე. ჩვენი ცხენოსანი ჯარი მათ ფეხდაფეხ მისდევს. (აზერტაგი).

### პეტროვსკის ბედი

ის პირი, რომელიც დარუბანდიდან ჩამოვიდა გადმოგვცემს, რომ დარუბანდი მეამბოხეებმა დაიკავეს, ხოლო პეტროვსკის ნავთსადგური სამ მხრიდან არის ალყა შემორტყმული. გროზნო-ხასავ-იურტის მხრიდან „შავი ბაზრიდან" მოსული საბჭოთა რეგულიარული ჯარები უტევენ; დარუბანდიდან პეტროვსკის მიმართულებით კიდევ საბჭოთა ჯარები უტევენ. დაბოლოს პეტროვსკის გარშემო დაიწყო მეამბოხეთა რაზმების სამხედრო მოქმედება.

ფიქრობენ, რომ პეტროვსკის დაცემა ახლო ხანში აუცილებელია. პეტროვსკის ნაწილობრივი ევაკუაცია ენზელისკენ უკვე დაიწყო. დარუბანდის ჯარშემო მომქმედ ჯარსა და გროზნიდან შემტევ ჯარს შორის კავშირი არ იგებობს.

## რუსეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

### ბოლშევიკების სამხედრო ცნობა

**კავკასიის ფრონტი.** ნოვოროსისკიდან გელენჯიკისკენ უკან დახეული მტრის ნაწილები ტყვედ წამოვიყვანეთ. ჩვენი ნაწილი კაბარდინზე და გილენჯიკზე გამოვიდა. მაიკოპის რაიონში ტუაპ ის რკ. გზაზე ბრძოლაა.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ჩიტის მიმართულებით წითელმა პარტიზანებმა 150—100 ვერსზე სოფლები აიღეს.

### ლენინის მოხსენება და კომიტეტის მოხსენება

ლენინმა ც. კომიტეტის მოქმედებაზე მოხსენება გააკეთა: როგორ მოხდა ისეთი სასწაული, სთქვა მან, რომ ჩვენ საერთაშორისო და შინაურ ფრონტებზე გამოვედით გამარჯვებული. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ პარტიაში მკაცრი დისციპლინა იყო ამის გამო დაუძლურებულმა ქვეყანამ ძლიერ ქვეყნებზე გაიმარჯვა. ამ გამარჯვების საფუძვლად იყო ცენტრალიზაცია, დისციპლინა და საზღაპრო თავ-განწირვა. ჩვენ მოწინააღმდეგებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში უძლიერესნი მთავრობები და კაპიტალის წარმომადგენლები არიან, არა ჰქონდათ შინაური კავშირი. კაპიტალისტურმა საკუთრებამ დაშალა ისინი და მტრებათ გადააქცია. აი ეს მთავარი მიზეზია ჩვენი გამარჯვებისა. ანტანტის პოლიტიკა მომართული ჩვენდამი წარმოადგენს დაშლის სურათს. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც ისინი მთელ მსოფლიოში იძახდენ, რომ ზავს არ შეკვრენ და ბოლშევიკებს არ დაუწყებენ ლაპარაკს. რას ვხედავთ ჩვენ ნამდვილად. მოკავშირეების საბჭოთა მთავრობასთან იწყებენ საზავო მოლაპარაკებას, ეხლა ეს მოლაპარაკება ბოლომდე არ მიყავთ. ამ ჟამად ანტანტი არც გვეომება და არც ზავით არის ჩვენთან შეკრული. ჩვენი მოწინააღმდეგების ამგვარი დაშლა ამტკიცებს, რომ ისინი წარმოადგენენ ერთ მუჭა კაპიტალისტურ მხეცებს, რომლებიც ერთ მეორეს ეჩხუბებიან და უძლური არიან რაიმე გააკეთონ, ლატვიის მთავრობამ ოფიციალური წინადადება მოგვცა ზავის შეკვრის შესახებ. ფინეთის წინადადება საზღვრების გამორკვევის შესახებ, ერთგვარი საზავო წინადადებაა. პოლონეთის მიმართ ამბობს ლენინი, უნდა ვიყოთ განსაკუთრებული ფრთხილად, რადგან პოლონეთის მთავრობამ თვითონ არ იცის, თუ რას გააკეთებს იგი ხვალ. შემდეგ რა შინაურ პოლიტიკას ლენინმა სთქვა. ეხლა მთავარი საკითხს წარმოადგენს თუ როგორი უნდა იყოს მმართველობა კოლეგიალური, თუ ერთ პიროვნული იგი ამ მომენტში უპირატესობას ერთ-პიროვნულ მართველობას აძლევს მომხსენებელი დიდხანს შეჩერდა და დაახლოვებით გამოსთქვა სპეციალისტების მნიშვნელობა მართველობის საქმეში ადმინისტრატიულ ორგანიზაციებში, სამრეწველოებში და დაწესებულებებში ჩვენი მეურნეობის აღდგენისათვის ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყოველი ბურჟუაზიული კლასების ცდით და მომავალი ცხოვრებისათვის მოვამზადოთ ჩვენი კლასიდან მუშები.

## პოლონეთი

### საზავო მოლაპარაკება რუსეთთან.

(საქ. დეპ. სააგ.)

ვარშავიდან იუწყებიან: პოლონეთის მთავრობა თანხმობას აცხადებს, რომ 10 აპრილს რუსეთის მთავრობასთან საზავო მოლაპარაკება დაიწყოს. მოლაპარაკების ადგილად პოლონეთის მთავრობა ასახელებს ბორისოვს. რომელსაც სახალხო კომისარი ია საბჭო შეატყობინებს პოლონეთის მთავრობას, თავის თანხმობას, პოლონეთის მთავრობა ბრძანებას გასცემს, რომ სამხედრო მოქმედება შეწყვეტილ იქმნეს.

# აზერბაიჯან—სომხეთის კონფლიკტი

### აზერბაიჯანის მთავრობის ნოტა.

საქართველოში აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის საინფორმაციო განყოფილება დეპეშით შემდეგს გვატყობინებს:

„უკანასკნელად ყარაბახის რაიონში, მომხდარ ამბების გამო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შემდეგი ცნობა გადასცა საქართ. საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს და ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ამიერ კავკასიაში:

„მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: 22 მარტს ღამის 3 საათზე ბაირამის დღესასწაულის პირველი დღის შემდეგ სომხეთის შეიარაღებული ძალა რეგულიარული ჯარის ნაწილებთან ერთად არტილერიით ისარგებლეს რადგანაც რომ ყარაბაღის რაიონში იყო მხოლოდ მცირედი ნაწილი აზერბაიჯანის ჯარისა შინაურ წესრიგის დასაცავად მოულოდნელად და აშკარად დაეცნენ ყარაბაღის რაიონში აზერბაიჯანის ჯარების ნაწილებს შუშაში, რანკიდში, ასკერანში, ხოჯიდახში, ტერტერში და სხ. პუნქტებში. ასკერნი, რომელსაც იცავდა 50 ასკერისაგან შემდგარი რაზმი და რომელიც თავგანწირულად იცავდა მას, 22 მარტს აღებული იქმნა სომხების მიერ და თვით რაზმი, ალბად, გაწყვეტილია. სხვა ნაწილებში თავდასხმა მოგერიებულ იქმნა სომხების დიდი ზარალით. შუშისა და ასკერანის მიდამოებს უჩნდა სომხების არტილერია. მეორე დღეს შენიშნული იყო თავდასხმა სომხების შეიარაღებულ ნაწილებისა თათრების სოფლებზე ჯებრაილის და ზანგეზურის მაზრებში და ზოგიერთი ამ სოფლებთაგანი სრულიად განადგურებულ იქმნენ. მიღებულია ცნობები, რომ სომხებს მოსდით დახმარება ბაიაზეთის მაზრიდან, ერევნის გუბერნია, რომ სოფ. თოლმუნაში, რომელიც ყაზახის მაზრის ახლო მდებარეობს მოსულან სომხების ჯარის ნაწილები. ყარაბახის მუსულმანები, რომელნიც ასეთ საშიშ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ ასე მოულოდნელად, თავდაცვის გზას დაადგნენ ცალკ ცალკე ჯგუფებათ თავდაცვას და ზოგიერთ ადგილებში პირველსავე დღეს გაუმკლავდნენ მოულოდნელ თავდასხმას სომხებისას, ხოლო სხვა ადგილებში განაგრძობდენ თავდაუწყებით თავდაცვას. აზერბაიჯანის მთავრობის მიერ მიღებულია ზომები ყარაბაღში წესიერების აღსადგენად და მომავალში თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.

გარეშე საქმეთა მინისტრი ხოელი.

28 მარტი.

### სომხეთის ნოტა მოკავშირეთა მიმართ.

სომხეთის პრემიერმა ხატისიანმა შემდეგი დეპეშით პროტესტით მიმართა: 1) მოკავშირეთა უმაღლეს კამისარს ჰასკელს, 2) ბრიტანეთის უმაღლეს კამისარს უორდროპს, 3) საფრანგეთის მისიის უფროს ამიერ-კავკასიაში ნონანკურს და 4) იტალიის მისიის უფროსს ამიერ-კავკასიაში გაბბას.

„სომხეთის რესპუბლიკის წარმოშობის წუთიდან აზერბაიჯანის მთავრობა, ოსმალეთთან შეთანხმებული, ყოველივე მოსახერხებელი საშუალებებით ცდილობდა დაეპყრო სომხეთის საუკუნოებრივი მიწები—ყარაბაღი და ზანგეზური. 1919 წლის აგვისტოს 22-ს ყარაბაღის სომხობა, რომელიც იმ დროს ფაქტიურად მოწყვეტილი იყო თვისი სამშობლოს ცენტრს სომხეთს, იძულებული შეიქნა შეთანხმებოდა აზერბაიჯანის მთავრობას და დროებით ეცნო ამ უკანასკნელის ხელის უფლება, იმ პირობებით, რომელთა თანახმათ აზერბაიჯანი ვალდებული იყო არავითარი ჯარი არ შეეყვანა სომხის ყარაბაღში და არ განეიარაღებინა მისი მცხოვრებნი.

აზერბაიჯანის მთავრობამ, დაარღვია რამდენჯერმე მის მიერ, ნაკისრი ვალდებულებათაგან პირველი, რეგულიარულ და არა რეგულიარულ ძალების თავმოყრის შესახებ, ბოლოს ყარაბაღის სომხობას წარუდგინა ულტიმატუმი, განიარაღების შესახებ. მცხოვრებლებმა, ჩასთვალეს რა ამგვარი ულტიმატუმი 22 აგვისტოს მომხდარი შეთანხმების აშკარა დარღვევად, ხოლო ეს უკანასკნელი მიიჩნიეს რა სომხების წინასწარ განზრახულ ხოცვის მომასწავებლად, უარჰყვეს მათდამი წაყენებული მოთხოვნა-აზერბაიჯანმა, მიიღო რა უარყოფა, მარტის 20-ს შეუდგა სომეხ მცხოვრებთა ძალით განიარაღებას და ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მხრიდან დაეცა სომხის ყარაბაღს და ზანგეზურს. სწარმოებს სასტიკი ბრძოლა. სომხეთის მთავრობა აცხადებს რა მკაცრ პროტესტს აზერბაიჯანის მიერ 22 აგვისტოს შეთანხმების დარღვევის წინააღმდეგ და აღებს რა უკანასკნელს შედეგების პასუხისმგებლობას გთხოვთ თქვენ, აზერბაიჯანის მთავრობის ამგვარი მოქმედების შესახებ, რომელ-თაც გამოიწვიეს საშინელი სისხლის ღვრა, დაჩქარებით აცნობოთ თქვენს მთავრობას და მიიღოთ ზომები ყარაბაღის სომეხ მცხოვრებთა კანონიერ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მათი აზერბაიჯანის შემდეგი ძალადობისგან დაცვით.

საგარეო საქმეთა მინისტრი ხატისიანი.

(სომხ. დეპ. სააგ.).

# ახალი ამბები

### სამინისტროებში.

#### რადიო სადგური.

იტალია-კავკასიის ბანკის გამგემ აუწყა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ევროპასთან მჭიდრო კავშირის დაჭერის მიზნით, ბანკის მიერ შემუშავებულ იქმნა პროექტი სენატორ მარკონის მჭიდრო კონტაქტით და თანხმობით ამიერ-კავკასიაში რადიო ტელეგრამის ექსპლოატაციის და განვითარებისათვის დამოკიდებულ საზოგადოების დაარსებისა. ამ საზოგადოების კაპიტალი უნდა უდრიდეს 2,200,000 მან. იტალიურ ლირას და ადგილობრივ მთავრობათა მიერ კი უნდა შეტანილ იქმნას 800,000 ლირა, მთავარი სადგური მოთავსებული იქნება ნავთლუღში. ბანკის გამგე თხოულობს—ეცნობოს მას შინაგან საქმეთა სამინისტროს შეხედულება ამ საქმეზე.

### 3000 მან. დახმარება.

ლეჩხუმის მაზრის ს. ხასაში მცხოვრებ ეგნატე გახოკიძე ონიანს მიეცა 3,000 მან. ერთდროული დახმარების სახით.

### სხვა და სხვა ამბები

#### წმ. ნინოს საზოგადოების საერთო კრება.

აპრილის ოთხსა, გზობას, ნაშუადღევის სწორედ პირველ საათზე, ქართული კლუბის დარბაზში გაიხსნება წმ. ნინოს მორწმუნეთა საზოგადოების საერთო კრება. მოხსენების შემდეგ გამგეობა წარუდგენს კრებას განსახილველად ფრიად-მნიშვნელოვან საკითხს: ლონისძიებანი საზოგადოების განვითარებისათვის- კრებაზედ დაურიგდებათ კვიტანციები იმ წევრებს, რომლებსაც საწევრო გადასახადი შემოტანილი აქვთ, მიეცემათ საშუალება საწევრო გადასახადის შემოტანისა მათ, ვისაც ჯერ არ შემოუტანია და მიიღებიან ახალი წევრები. იმედია კრებას დაესწრება მრავალრიცხოვანი მორწმუნე საზოგადოება.

**გორის ქალთა გიმნაზიაში** 27 მარტიდან განახლდა მეცადინეობა გიმნაზია მოთავსებულია თბილისის ქალთა მეორე გიმნაზიაში. მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 2 საათიდან.

#### ამიერ კავკასიის ბანკი.

თანახმად ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საზოგადო კრების 22 ივნისის 1919 წ. დადგენილებისა ბანკის საბჭომ გადაწყვიტა ძირითადი თანხა გაადიდოს 6 მილიონი მან.-15 მილიონი მანეთამდე ხელმოწერა გროგორც თბილისში ისე პროვინციაში დაიწყება 15 აპრილს და გათავდება 30 საბჭოს სურდა ეს თანხა მეტად გაედიდებია, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო საზოგადო კრების დასტური; მომავალ საზოგადო კრებაზე ამ დასტურს საბჭო გამოითხოვს და მაშინ ძირითადი თანხა კიდევ გადიდდება.

### სამხატვრო ქრონიკა

გ. ლეონიძემ გამოსაცემად დაამზადა „ქაშნიკი" მე 18 საუკ. ქართული l'art poetic—მამუკა ბარათაშვილის, რომელიც მოკლე ხანში ერთ ერთ ბეჭდვითი ამხანაგობის მიერ—წიგნად გამოიცემა.

## დახმარება რუს ლტოლვილებს

ხუთშაბათს აპრილის 1 ს ქ. თბილისში გაიმართება ერთი დღით ყუთებით ფულის შეგროვება რუს ლტოლვილთა სასარგებლოდ.

საქართველოს სამხედრო გზით შემოსულ ლტოლვილთა მდგომარეობა აუტანელია.

დროებითი კომიტეტი ქ. დენის თავმჯდომარეობით ცდილობს რა სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს ლტოლვილთ, მიმართავს კეთილ ხალხს თხოვნით, გამოეხმაურონ მათს სასტიკ გაჭირვებას

დაწვრილებითი ანგარიშები შეწირულებათა და ხარჯების, თავის დროზე გამოქვეყნდება.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ არიან: ქალაქის თავი ბ. ჩხიკვიშვილი, ა. მილაშევსკი, ს. ზუბჩანინოვი და კუზნეცოვი.

ყოველგვარი შეწირულება მიიღება ქ. დენის ბინაზე, რტიშჩევის ქ. № 18.

## საჯაქ.-სამრეწვ. პალატა

### სავაჭრო ბიულეტენი.

ქ. თბილისი, 30 მარტი 1920 წ.

კ უ რ ს ი

| | |
|---|---|
| სტერლინგი: | |
| ა) ბანკნოტი | 1025 მ. |
| ბ) ჩეკი | 975 „ |
| ფრანკი ფრანგული ქაღ. | 24 „ |
| ჩეკი | 17,50 „ |
| ლირა იტალიური ქაღ. | 17 „ |
| ჩეკი | 16, „ |
| ლირა ოსმალური: | |
| ა) ოქროს | 1400 „ |
| ბ) ქაღალდის | 240 „ |
| ჩეკი | 236 „ |
| მარკა გერმანული ქაღ. | 4,25 „ |
| დოლარი | 290 „ |
| ჩეკი | 270 „ |
| მანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიისა: | |
| ოქრო 10 მან. | 1700 „ |
| ა) ქაღ ასი მანეთიანი | 260-300 „ |
| ბ) ქაღ. ხუთასი მანეთ. | 1550 „ |

# თეატრი და მუსიკა

### სახელმწიფო თეატრი. „ვერტერი". მ. ნანობაშვილის გასტროლი. მარტის 29

საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა მ. ნანობაშვილის სიმღერამ მსმენელებზე. ვოკალურ სფეროში ნანობაშვილი შესამჩნევი არტისტია. სცენიურ განსახიერებაზე, მსახიობობაზე კი ამას ვერ ვიტყვით.

თანამედროვე ოპერაში—სცენიურ განსახიერებას ისეთივე ადგილი უკავია როგორც ვოკალურ შესრულებას.

დიდი ხანია, რაც გერმანიაში რიხარდ ვაგნერმა ბოლო მოუღო იტალიის ოპერის ტრაფარეტს. რ. ვაგნერის ოპერები მოითხოვენ არამც თუ დიდ მომღერლებს, არამედ დიდ მსახიობებსაც. ოპერა უნდა გადიქცეს მუსიკალურ დრამად, სადაც სცენიური განსახიერება და დრამატიული განცდა თანაბარი იქნება ვოკალურ შესრულების.

შალიაპინმა მთელი ეპოქა შექმნა მსოფლიო საოპერო სცენაზე. შალიაპინს დღეს ეძახიან ტრაგიულ მომღერალს. მაშასადამე ოპერაში შესაძლებელი ყოფილა ისეთივე დრამატიზმის შექმნა, როგორც ეს თვით დრამაში. არამც თუ დრამატიული, კარგი მომღერალი—მსახიობი ოპერაში ტრაგიულ განსახიერებამდისაც მივა.

საფრანგეთის საოპერო სცენამ დიდი ნაბიჯი გადადგა ახალ სკოლის შესაქმნელად. ფრანგული ოპერა ვოკალურ მხარეში დიდათ განვითარდა, მაგრამ სცენიურად იგი ჯერ ვერ დაშორებია საუკუნოებრივ ტრადიციას. თუ ფრანგულმა დრამამ უარჰყო ძველი ფსევდო-კლასიზმი—ოპერამ ეს ვერ შესძლო და ფსევდო კლასიციზმი ფრანგულ დრამიდან მემკვიდრეობით გადავიდა ფრანგულ ოპერაში.

ჩვენის აზრით ამ გარემოებით აიხსნება მ. ნანობაშვილის სუსტი სცენიური განსახიერება. მის მიხვრა-მოხვრაში, ერთფეროვნულ ჟესტებში ღრმად არის გამჯდარი ფსევდო-კლასიციზმი. არც რუსეთში და არც გერმანიაში დღეს ამისთანა ყალბ პოზებს არა აქვს ადგილი. თვით იტალიელებსაც, მაგალითად ბატტისტინის, ადამო დიდურს ვერ შევამჩნევთ რომ ისინი არ ცდილიყვნენ არტისტიულობისკენ. დიდებული ვირტუოზი მომღერალი კარუზო სპეციალურად გამგზავრა ეგვიპტეში და „აიდა"-ში რადმესის პარტიას მღეროდა ნანგრევებ შორის. ეს იყო ოპერის მსახიობის ცდა მუნესიულის ხელოვნებისკენ.

რაც ჩვენა ვთქვით ეს სრული ქეშმარიტებაა და მ. ნანობაშვილსაც ამ თვალსაზრისით უდგებით. როგორც მსახიობი, ნანობაშვილი ყურადღებას ვერ იპყრობს. მაგრამ როგორც მომღერალი—დიდი ხელოვანი ყოფილა. ნანობაშვილის ხმა, მართალია ძლიერი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ იგი სასიამოვნო ტემბრისაა. შესანიშნავია მისი დაბალი და საშუალო რეგისტრები და ნამდვილ ვირტუოზობას მომღერალი ამ ფარგლებში იჩენს. აქ ის დიდი ვირტუოზია. ელასტიურია ყოველი მისი ფრაზა, დიდი ნიუანსით გადმოცემული. მ. ნანობაშვილის სიმღერაში არ არის იტალიური პათოსი, მაგრამ სამაგიეროდ მასში არის ფრანგული ექსპრესსია, ცხელი ტემპერამენტი. დიდი ინტელიგენტი უნდა იყოს კაცი, რომ ასე კეთილშობილურად მუსიკალურად მღეროდეს, როგორც მღერის მ. ნანობაშვილი.

მ. ნანობაშვილის გამოსვლა ჩვენ სცენაზე ძვირფასი და საყურადღებო უნდა იყოს. ახალგაზდა მომღერლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მ. ნანობაშვილის სიმღერას. ისინი ბევრს რამეს ისწავლიან სამაგალითო სკოლის მომღერლისგან.

ვ. გარრიკი.

# აზიის მოლოდინში

საერთაშორისო მდგომარეობა მეტად რთულდება: ვერდენის, ბრიუსელის და ვარშავის ცეცხლი ეხლა აღმოსავლეთში აპირებს აფეთქებას. უძლეურთა ძლიერება დღითი დღე იზრდება და მოსალოდნელია ძლიერთა დასნეულება.

ფაქტიური კაცობრიობის სახე ორ პროფილში იკვეთება: ერთს სწვავს მაქსიმალურ სოციალიზმის ფანტასტიური დაპირებანი, მეორე, გონიერების დარაჯად მდგომი, ებრძვის გიჟურ გაქანებას.

დღეს დიდი ტეხილებია მოსალოდნელი. პეტროგრადიდან გასროლილი მოწოდება: „სიკვდილი ბურჟუებს" ისე არავის გახარებს როგორც კაცობრიობის იმ ორ მესამედს რომელიც „უკულტურო" აზიად არის მონათლული. მისთვის ხომ ყოველი ევროპიელი მჩაგვრელია,—მაშ ბურჟუაა. და აღმოსავლეთის მთვლემი ენერგია როდესაც შეგნებით ამოძრავდება ინსტიქტიურად ევროპის გადალეკას მოინდომებს. უკანასკნელი ცნობები ამას ამოწმებენ და ევროპაში „ევროპების" გაჩენა აღმოსავლეთის შეგნებისათვის საუკეთესო ნიადაგია.

შესაძლებელია აღმოსავლეთის თავდასხმა ე. წ. კულტურულ კაცობრიობაზე ევროპიდანვე დაიწყოს და უხეშმა ძალამ საეჭვო გზები გაატიალოს. და საქართველოც ხომ გზა-გზა ჯვარედინია.

საქართველოსათვის კეთილის მსურველს ძალზე ჩააფიქრებს დღევანდელი ჩვენი არჩეული გზა: ვაი თუ უკმეხად ზურგის შექცევამ აზიისაკენ მიმავალ გზების სასურველამდე ვერ მიგვიყვანოს.

თვითეულ ქართველში ხომ იხედება „ხანტი" აღმოსავლეთი რაინდულ გულით და სიმბოლიური რომანტიზმით.

ნილოსის ველის ზღაპრები, პირამიდების და სფინქსების უხმო მეტყველება, ქურუმთა ექსტაზური ლოცვა მზე ცხოველის უფრო ახლოა ქართველის გულთან ვიდრე დასავლეთის ერთა კოსმოგონია და ხმა ჩახლეჩილი მჟღავრი ჯელოდდები იკლესისა.

ერანისა და არაბეთ—ინდოეთის ფატალური სახეები ხომ ჯერ კიდევ დიდხანს ენთებიან ქართველში ის ძალა რომელმაც შექმნა უკვდავი ნება ფარაონების და შაჰების რომელმაც შობა საკვიამული, ბუდდა და მაჰომედი დღეს, განახლებული, ისევ აპირებს დაძვრას მეტის შეგნებით გაერთიანებით და ნებისყოფით. და ამ მოვლენას ანგარიში უნდა გაეწიოს; ანგარიშის გაწევა პირველად საქართველოს მართებს.

ორივე მხრებით ევროპაზე დაყრდნობა ჩვენთვის მდგომარეობის შეუგნებლობას ნიშნავს ეს არ დანახვაა კაცობრიობის იმ ფონდის, რომლის რიცხვი ნამდვილ კაცობრიობის 2 3 ს უდრის და ეს ფონდი დღეს აპირებს ახალ ისტორიის დაწყებას. აზიის პოტენციალური ენერგია ეხლა აპირებს გაშლას. ამომშრალი ევროპა მიდის და ვინ იცის მომავალი კულტურა იქნებ ხანგებით და მალაელებით შეიქმნას!

თუმცა ეს პერსპექტივაა, მაგრამ არც ისე შორეული როგორც ბევრსა ჰგონია. ყოველ შემთხვევაში საქართველოს მომავალს საათობით არ ეზომავთ და საუკუნოების მაყურებელი შესაძლებლობისთვისაც უნდა ემზადებოდეს. და მზადება საქართველოში არ სჩანს. ზოგისთვისაც ცხადია, რომ უევროპოდ საქართველო ვერ იხსნება ევროპის ტეხნიკა საქართველოს დაფუძნებაა. ჩვენი ყოველი სიტყვა შემოქმედებაზე და მეცნიერებაზე ევროპიდან იწყება და ევროპითვე თავდება ცხადია და აუცილებელიც. მაგრამ საქართველოს საკუთარი თავი უნდა იმას საკუთარისთვის კი საჭიროა თავისებურობა, და ევროპის კულტურით მოსილი საქართველო ვერას დროს „თავისებური" ვერ იქნება თუ ამ ცნებას მახინჯ მიმბაძველობას და და ვირტუოზობას არ გაუთანასწორებთ. ჩვენ სისხლში აზიური წვეთებიცა არის და მთელი გულის ყურით ევროპას არ უნდა შევეწიროთ. თვალი აზიისკენაც უნდა გვეჭიროს რათა ის „ძვრა" რომელიც უკვე დაიწყო, ანაზდეულად არ მოგვეჩვენოს. ჩვენი

მისია სინტეზის მოხდენაა და ამიტომ ევროპაში გაგზავნილის ორეული აზიისაკენაც უნდა გავამგზავროთ. ამას გვიკარნახებს: კაცობრიობის და კულტურის ისტორია, დღევანდელი მდგომარეობა და საქართველოს მომავალი.

**მინო გორდეზიანი.**

## ოსმალეთის ამბები

ტრაპიზონიდან და სამსუნიდან მიღებული თურქული გაზეთები ოსმალეთის სხვა და სხვა ადგილებში მომხდარ შემდეგ ამბებს გადმოგვცემენ:

**შეტაკება სტამბოლში და სტამბოლის დაკავება.**

**16 მარტს**, დილით სტამბოლში ინგლისელები თავს დაესხნენ შეხზადებაშის რაიონის სადარაჯო პუნქტს. მოხდა შეტაკება, რომლის დროს მოკლულ იქნა ექვსი ასკერი და დაიჭრა 15. -მის შემდეგ ეს პუნქტი ინგლისელთ რაზმმა დაიჭირა. ინგლისელთა რაზმებმა დაიჭირეს აგრეთვე სამხედრო სამინისტრო, თოფხანე (არსენალი) და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სადგურები, რის გამო შეწყდა სატელეგრაფო ურთიერთობა ოსმალეთის პროვინციებთან. ამ დღეს ინგლისელები განაგრ- [illegible]

[illegible] ლების ძირითადი დებულებანი გამოსახება შემდეგში: სირია პალესტინა და ირაკი უნდა ჩამოშორდეს ოსმალეთს. სირიას განსაზღვრული პირობებით მიეცემა დამოუკიდებლობა სმირნაში ოსმალეთის სუვერენიტეტის შენახვით დაარსდება საბერძნეთის მართვა გამგეობა ფრაკიაში საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ. უნდა დაარსდეს ადგილობრივი მართველობა. ვანის და ბითლისის ვილაეტები და არზრუმის ვილაეტის ერთი ნაწილი გადაეცემა სომხეთს. ამასთანავე სომხეთს შავ-ზღვაზე გამოსავალი მიეცემა ტრაპიზონის და ბათომს შუა.

**დეპუტატების დაპატიმრება სტამბოლში.**

ინგლისელებმა დაატყვევეს პარლამენტში სივასის დეპუტატები რაუფ-ბეი და ვასიფ-ბეი. რაუფ-ბეი ოსმალეთის ყოფილი საზღვაო დელეგაციის თავმჯდომარე იყო, როცა ოსმალეთთან ტრაპიზონში მოლაპარაკებას აწარმოებდა ზავის შეკვრაზე ამიერ-კავკასიის დელეგაცია.

რაუფ-ბეის და ვასიფ-ბეის დატყვევების შემდეგ დეპუტატებმა მიატოვეს პარლამენტი და განაცხადეს მთავრობას, რომ ასეთ პირობებში საპარლამენტო მოღვაწეობა შეუძლებელია.

დაატყვევეს აგრეთვე ყოფილი სამხედრო მინისტრი სპარტას დეპუტატი ჯემალ-ფაშა, სენატორი მაჰმუდ ფაშა თავდგირიძე, ყოფილი თავმჯდომარე მთავარ გენერალურ შტაბისა [illegible]

[illegible] რის მიდამოების შეხვედრები გულისწყრომით შეხვდენ სტამბოლის დიდ ქუჩებში, სახლების სახურავზე და ბილდებზე ინგლისელებს ედგათ ტყვიის მფრქვეველები შეკრეს და სხვა და სხ. პუნქტები შეკრეს ჯარისკაცებით. ბოსფორში მყოფ სამხედრო გემებმა თავისი ზარბაზნები სტამბოლისაკენ მოაბრუნეს. „სამ. საქ.“.

## სენაკის ერობა და რეკვიზიცია

რამდენიმე ხნის წინად, სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეორე ყრილობამ „სოციალისტური თითების სიმრავლით მიმდინარე საკითხების განხილვის დროს ბოლშევიკური პოლიტიკის გზას მიმართა.

მიმდინარე საკითხებში მოთავსებული განსახილველი წინადადებანი მეტად მწვავე ხასიათის მოდგა.

არც ერთ საკითხს არ გამოუწვევია იმდენი ინტერესი, რამდენიც ამ მიმდინარე საკითხებმა გამოიწვიეს.

საქმე შეეხებოდა რეკვიზიციას. სენაკის სამაზრო ერობის გამგეობას წინდაწინ შეემუშავებინა რეკვიზიციის წესი, რომელიც მან ყრილობას „დემოკრატიული“ აზრით — განმარტებით წარუდგინა და ყრილობამაც გამოლიდ ხელებით რეკვიზიციის აუცილებელი საჭიროება ერთხმად მიიღო.

სენაკის მოქალაქეთ ჩამოართვეს უძრავი ქონება: სახლები, ეზო, მამული, დუქნები და სხვა. სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა და ყრილობაც რეკვიზიციის დროს ხელმძღვანელობდენ დამფუძნებელ კრების მიერ მიღებულ დეკრეტით, რომელიც ლაპარაკობს შემდეგს: „ერობას უფლება აქვს ჩამოართვას კერძო პირებნას ქონება, თუ ის საზოგადოებისათვის საჭიროებას შეადგენს, მაგრამ ეს უფლება მაზრას არ სცილდება. ამასთანავე ქალაქის გამგეობასაც აქვს იგივე უფლება მხოლოდ ქალაქის საზღვრებში. თუ ერობა ქალაქის საზღვრებში აღმოაჩენს მისი საჭიროებისათვის შენობას, ჩამორთმევამდე ის უნდა შეუთანხმდეს ქალაქის გამგეობას, თუ კი საჭირო შეთანხმება არ მოხდა, საკითხს სჭრის მთავრობა. ამ კანონით ხელმძღვანელობდა ყრილობა ერობის გამგეობის წინადადებით, მაგრამ კანონი იგი არ ყოფილა დაცული მთელი მისი შინაარსით.

ერობის გამგეობამ ჩამოართვა უძრავი ქონება სენაკის მოქალაქეთ, რომელთა საკუთრება მხოლოდ ქალაქის საზღვრებში მდებარეობენ.

ქალაქში ხსენებულ კანონის გატარებისათვის უფლება აქვს მხოლოდ ქალაქის გამგეობას და შემდეგ ერობას, თუ რომ მასსა და ქალაქის გამგეობას შორის შეთანხმება მოხდება. ჩვენ კი ვიცით, რომ სენაკის ქალაქის გამგეობასა და ერობის გამგეობის შორის არამც თუ შეთანხმება, უბრალო მოლაპარაკებაც არ ყოფილა, რაც განცხადა პირადათ ქალაქის სამჯის სხდომაზე ქალაქის თავის მოადგილემ.

ასე რომ ერობის გამგეობის მიერ დარღვეულ იქნა საჭირო კანონიერება.

ასეთი თვითნება ნაბიჯს ერობის გამგეობის თავმჯდომარე ბ. მელანია დემოკრატიული მოსაზრებით ხსნიდა.

„ჩვენ დემოკრატიის საქმეს ვაკეთებთ“ — აი მუდმივი და თამამი ძახილი ბ. მელანიასი.

ყრილობაზე გამეფებული ბოლშევიკური ატმოსფერით ისარგებლა ყრილობის დირიჟორმა მელანიამ და კანონის ყალბი ახსნით გაატარა თავისი „დემოკრატიული ნაბიჯი“. მშვენიერი მაესტრო გამოდგა ბ. მელანია მენშევიკური პოლიტიკაში ბოლშევიკური ნოტების შეტანისათვის.

სხვისი საკუთრების განიავება, ჩამორთმევა, პატრონის დაუკითხავად ამ წილ საქმედ მიიჩნია ერობის გამგეობამ და ყრილობამ, მაშინ როდესაც ეს ბოლშევიკური აქტი ჯერ კიდევ მთავრობასაც არ დაუმტკიცებია და გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ არც დაამტკიცებს. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო გარემოება, რომელიც პირდაპირ ბ. მელანიას შეეხება.

ჩვენ გადმოგვცეს, რომ ბ. მელანიას თხოვნით მიუმართავს მიწადმოქმედების მინისტრისათვის, რათა მან ნება დართოს მას (მელანიას) კაბინეტში მყი- ბარე მისი მამული (რამოდენიმე ქცევა მიწა) გასცვალოს იმავე ზომის ნაწილზე სენაკში. მინისტრის პასუხი შემდეგი ყოფილა: „ნება ეძლევა ბ. მელანიას სენაკის მაზრის საზღვრებში საფონდო მიწებიდან ადგილის შეძენისათვის ბ. მელანიამ ეს ბრძანება ქალაქის საზღვრებში გაატარა და ქალაქშივე ფონდში ჩარიცხულ მიქელაძის მამულიდან შეიძინა რამდენიმე ქცევა.

ადგილი იგი შემოღობილია და შიგ ორასამდე ძირი მანდარინა ჩარგო.

სწრაფი მუშაობაა გაჩაღებული იმისათვის, რომ მელანიას ადგილი ქალაქს რაც შეიძლება სწრაფათ შორს — გზით დაუახლოვონ. მეურმე—მეურმეებს მისდევს ქვა—ქვიშით, რათა დანიშნულ დროისათვის გზა იქნეს გაკეთებული მაშინ როდესაც ქალაქის იმ ნაწილებში ჯერ კიდევ მეურმე გზისათვის საჭირო მასალებით არავის უნახავს.

ამასთანავე „ბოროტი“ ენები იმასაც გადმოგვცემენ, რომ ბ. მელანიამ რამოდენიმე ათი-ათასი მანეთი აიღო სესხად ერობისაგან ოჯახური ცხოვრების მოსაწესრიგებლად რომელი თანხით მან შეიძინა — ძროხები, ინდოურები, ბატები და ახლო საკუთარ ეტლსაც კი იძენს.

ამ სესხს იგი როდის გადაიხდის არავინ იცის, მხოლოდ ეს კია, რომ „დემოკრატის“ საბუთებით საკუთარი მდგომარეობის უზრუნველყოფას აძლენს ეს ის მელანია ბრძანდება, რომელიც სხვისი საკუთრების ჩამორთმევის დროს მეტად მწვავე სოციალისტი სჩანდა ასეთია დემოკრატიული ინტერესებით ალესვგე ბ. მელანიაზე საზოგადოებრივი სიტყვა და აზრი.

**მეგრი.**

## მეაბრეშუმეობა

**ხ ად საქართველოს მეაბრეშუმეთა პირველი ყრილობა მოხდება ქ. ქუთაისში** კვირას, ოთხს აპრილს 1920 წ. ქ. ქუთაისის საბრეშუმო სადგურის შენობაში დღის 12 საათზე, რომელზედაც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე თხოვს ერობებს, კოოპერატივებს, დ... ქებს და მწარმოებელ ... თავიანთი წარმომადგენელი.

**თანახმად მთავრობის დადგენილებისა.** დაუყონებლივ მიღებულ უნდა იქნეს ღონისძიება მეაბრეშუმეობის გავრცელება-გაუმჯობესობისათვის: მეაბრეშუმეების თესლით უზრუნველყოფით, პარკის გამოკვების გაუმჯობესებით, ნედლი პარკის ბაზრის მოწყობით და მისი გასაღებით, ძაფის ამოხვევის გაუმჯობესებით თესლის ადგილობრივათ დამზადებით, ხმელი პარკის უცხოეთში გასაღებით და თუთის (ბჟოლის) ხის მოვლა-გაშენებით.

რესპუბლიკაში ნებადართულ უნდა იყოს მხოლოდ თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებული თესლის ყიდვა გაყიდვა.

თესლის ყიდვა-გაყიდვა რესპუბლიკის ფარგლებში ნებადართულია მხოლოდ 15 მაისამდე.

რედაქტორი
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

ექიმი
# დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

მედიცინის დოქტორი
# მ. ა. ახვერდოვი
პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს სპეციალურად ვენერიულის. სიფილისის, კანის ავადმყოფებიანი, დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე მიხეილის პრ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან. შესავალი ექლესიის ჭუჩის კუთხიდან.

## სიტყვარზე და სიტყვებზე

**4. კიდევ სიტყვარზე.**

(იხ. № 56, 60 და 68).

ბევრსა ჰგონია, რომ სახელსახს (ტერმინს) და სიმბოლოს ერთი და იგივე მნიშვნელობა და მიზანი აქვსთ მეცნიერებაში. ეს ღრმა შეცდომაა: ცოდნის დღევანდელ დონეზე ფორმულებზე გადასვლის და კვლევის ღწურ (точные) მეთოდების მადლით შესაძლო გახდა მეცნიერულ შემოქმედების და ყველა ქვეყნების მკვლევართა ურთიერთობის გასაადვილებლად სიმბოლიურ აღნიშვნის შემოღება. ღწურ მეცნიერებაში და ქმასნობაში (ტეხნიკაში) ეს უკვე საკმაოდ გავრცელებულია; მაგალითად თეორიულ ფიზიკაში და ქიმიაში ბერძნულ და ლათინურ ანბანის ყოველი ასო, როგორც უბრალო, ისე მთავრული, და ამ ასოთა ათასი კომბინაცია გამოყენებული. სხვა და სხვა ცნებების წერით და სიტყვიერ სიმბოლოებათ; პრესაში მათი ჩამოთვლა-განმარტება შეუძლებელია, საკმაო ორიოდე ყველასგან ცნობილ ამგვარივე სიმბოლოს დასახელება: გეომეტრიული „პი“ (ბერ. Π, ე. ი. წრეწირის და მისი შუამჭრის ფარდობა) ალგებრული „ი“ (i, ე. ი. ორიდანდა ფესვი უარყოფით ერთიდან), ქიმიური „აშ“ ან „ო“ (H და O, ე. ი. წყალბადი და ჟანგბადი) და სხ. ყოველ ამ საერთაშორისო სიმბოლოს ყოველ ენაში აუცილებლად თავისი სათანადო ბადალი ეკუთვნის—ტერმინი, რომელიც ამ განყენებულ სიმბოლოს გამაცოცხლებელ სისხლ-ხორცს, ე. ი. საყოველთაო (популярный) ტოლფასს წარმოადგენს; ყოველი მოწინავე ერი ცდილობს, ეს გამსწვრივე, ცოდნის გამასაყოველთაოებელი სახელები თან და თან გააეროვნოს; „ო“-ს (oxygenium)—кислородъ, Sauerstoff ან ჟანგბადი ერქმევა, „ერ“-ს radjus)—Halbmesser ან სხივო და სხ. ერთის სიტყვით მეცნიერული ენა შემდეგ მოთავლისკენ მისწრაფვის ბუნებრივად: სავსებით სიმბოლიური თვით ფორმულებივით და ზომებივით სამეცნიერო საერთაშორისო „ზე-სახელსახება“ და მისი გამსწვრივი, რაც შეიძლება უფრო მკაფიო და ადვილად გასაგები ან შესათვისებელი ეროვნული საყოველთაო სახელსახება.

ჩვენი დედა აზრი და თანხმობა (სისტემა) სწორედ ამ მომავლის გაგებით წარმოშობილია და ჩვენში განხორციელების ასაჩქარებლად არის შემუშავებული. ამ გამსწვრივ სახელსახებარი არც ერთი არა ეროვნული სიტყვა არ უნდა მოიპოვებოდეს. ყოველი მისი სახელი ან თვითმასწავლი („ავტოდიდაქტიური“) ე. ი. ცნების არსის თვითამხსნი უნდა იყოს—როცა ცნება კონკრეტიული და ელემენტარულია (როგორც сброс сдвиг арктическая область, და სხ.) ან თვით შესათვისებელი ე. ი. ასოციაციების თვითმბადი და ამიტომ ადვილად დასახსომებელი, როცა ცნება იმდენად რთულია ან განყენებული, რომ მას მნემონიური ე. ი. ადვილად დასახსომებელი საასოციაციო სახელსახი უფრო უდგება, ვიდრე ცნების არსის გამომხატი (მაგალითად: трансцедентная функція электричество энтропія და სხ.) ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როცა თვითამხსნი სახელის შედგენა არც ხერხდება, არც სასურველია, გადავწყვიტეთ ამ უცხო, ყოვლად მუნჯი და ძნელად დასახსომებელ სახელის მაგიერ, როგორც მაგალითად ენტროპიაა ისეთი ქართული ხელოვნური სახელები შეგვეთხზა, რომელნიც ქართულ ფესვების შემწეობით საჭირო ასოციაციებს ჰბადავენ და ქართულ აგებობის და მარჯვედ სახმარ ფორმის მადლით ადვილად შესათვისებელი არიან. მაგალითად энтропія ს სიმხნის (ენერგიის) გაბათილებასთან დამაახლოვებელი, მაგრამ ამავე დროს მისგან მკაფიოდ გამოსარჩევი ფორმა ამოურჩიეთ სიბათლე; ბაქტერიას როგორც მცენარეთა სამეფოს უმცირეს წარმომადგენელს ფესვ „მც“-ს შემცავი მოკლე და აგებობის ხასიათით ნამდვილი ქართული სახელი უწოდეთ მცია და სხ. და სხ.

სახელების ამ გაეროვნებაში, როგორც წინა წერილშია აღნიშნული ვეცადეთ მთელი ჩვენი ენის აწმყო და წარსული მასალა გამოგვეყენებინა, ყველა ჩვენი კილოკავების და მონათესავე ენათმეტყველების ფესვების და ფორმების ყოველ მხრივ გამორკვევით. სამწუხაროდ პრესაში შეუძლებელია ამგვარ საკითხებზე მეცნიერულად მსჯელობა, ამიტომ პირდაპირ იმ თქვენს მიერ სრულიად ვერ გაგებულ სიტყვარს მივმართავთ, რომელიც სავსებით ამ აზრებზეა აგებული და რომელიც პირველ ცდას წარმოადგენს ტეხნიკის და ღწურ მეცნიერების მოთხოვნილებების შეთანხმებისა ენის მეცნიერების და ენის მოხდენილობის ინტერესებთან. არ გვეგონა, თუ ჩვენი ენის მეცნიერნი ასე ვიწროდ და არა ძირითადად, ასე წვრილმანურად და არა მეცნიერულად და ასე მტრულად შეხვდებოდნენ ამ ცდას და ამ შეთანხმებას, რომელიც ვიმეორებთ, ტეხნიკისთვის სრულიადაც სავალდებულო არ არის.

„ლექსიკონს რუსულ словарь-ის მიბაძვით სიტყვარს უწოდებენო“, ბრძანებთ თქვენ, „მაგრამ სიტყვარი ხომ უფრო словеснякъ-ს უდრის, ვიდრე словарь-სო; შეად. მყინვარი—ледникъ და მხედარი—всадникъ; ეს შენიშვნავე ეკუთვნის წიგნარს (библіотека) რომელიც უკვე შეთვისებულია ერის მიერ წიგნ საცავის სახელწოდებით; водохранилище თუ წყალსაცავია, книгохранилище რატომ არ უნდა იყოს წიგნსაცავიო. ტერმინები „სიტყვარი“, „წიგნარი“ სჭრიან ყურს (რითი?!) და არ არიან გამოწვეულნი რაიმე საჭიროებითო. „სიტყვარს“ ჩემს გარდა განცვიფრებაში მოუყვანია კიდევ ერთ გაზეთის ასოთ ამწყობი და თვით კორექტორიო.“ ამას ბრძანებთ თქვენ, ჩვენი ენის მეცნიერი, ჩვენ კი ამ ენის მოწაფენი, შემდეგს გიპასუხებთ:

ბერძნული ფესვი „ლექს“ („სიტყვა“) ჩვენში მხოლოდ შაირის, ე. ი. წყობრსიტყვაობის მნიშვნელობითაა გადმოსული და ერის მიერ ურყევად შეთვისებული, ამიტომ „ლექსიკონი“ ხალხს ყველგან და ყოველთვის ლექსთა კონა ჰგონია; შეუძლებელია ამიტომ ცნება ლექსიკონს სხვა სახელი არ ამოერჩეს. აგრეთვე библіотека-ს; ამ სიტყვის პირდაპირი თარგმანი—„წიგნთ-საცავი“, როგორც თქვენ თითონ ამტკიცებთ ჩვენს აზრს, მართლაც книгохранилище-სთვის, ე. ი. წიგნების უძრავ, ხელუხლებელ მუზეუმისთვის ან საწყობისთვის უნდა დარჩეს, წიგნების სახლში გამცემ დაწესებულებას კი, რომელიც წიგნების სოციალურ ხმარების (და არა შეცვის) სამკითხველოზე უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, აუცილებლად რამე ახალი და დღევანდელ პირობების სათანადო ხალხური სახელი უნდა დაერქვას.

„სიტყვარი“ მხედრის დაგვარად „უფრო словесникъ-ს უდრისო“, ბრძანებთ თქვენ, словесник-ისთვის „მხედარის“ ფორმით წარმოშობილი სახელი „სიტყვარი“ კი არ იქნებოდა, არამედ ან „მსიტყვარი“ ან „მსიტყვეელი“. სიტყვარი კი კრებით ცნებას (собирательное-ს) წარმოადგენს, ე. ი. „სიტყვათა კრებულს ნიშნავს; არა გვგონია რომ словесникъ-ებს იამოს ამგვარი თქვენი დადარება. თქვენ ბრძანებთ „სიტყვარი“ და „წიგნარი“ ქართულ ყურს სჭრიან და რუსული ენის წაბაძვით არიან შეთხზულიო. ეს თქვენი შეხედულობაა; ჩვენი ენის მეცნიერი კი, პროფ. მარრი და მისი მოწაფეები სულ სხვა რამეს გვასწავლიან. მათი თვალსაზრისით ჩვენს ენაში არსებულ „არ“-ით დაბოლოებულ ბევრნაირ ფორმებს შორის ორია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოსარჩევი: 1. სვანურიდან გადმოსული კრებითი ცნებების და მასიურ მასალის გამოსახი ფორმა, როგორც ჯინჭარი, ძაგარი (გურ-იმერ) ან ჯაგარი (ჯაგ, ჯაგი, ჯაგვი=ეკალი, ბუჩქი), ფიჭარი, ბაწარი (=ბეწვარი) და სხ. და 2 ჭან—მეგრულიდან გადმოსული, მომქმედ აგენტის აღმნიშვნელი ფორმა, როგორც მწევარი, მგზენარი, მათხოვარი და სხ.) პირველი ფორმა სვანურ მრავლობითი რიცხვის დაბოლოებას შეიცავს (Н. Марръ, Яфетическія названія деревьевъ и растеній. Pluralia tantum) „არს“, რომელიც ჩვენს ძველს „ან“-ს უდგება და აზხაზურ „რა“-ს სრულ ტოლფასს წარმოადგენს. იხ. აზხაზური роща ели, ольхъ, орѣховая (გაგრა) და სხ. და სხ. ეს დაბოლოვება უსულო არსებით სახელებს ემატება ჩვენში, ხან მხოლობით რიცხვს (ძველი ფორმა), ხან მრავლობითს (უფრო ახალი ფორმა) და ორჯერ მრავლობით რიცხვს იძლევა: მაგალითად ტირიფნარი, ვაშლნარი და სხ., სადაც ცალკე „ნ“, ცალკე „არ“ მრავლობით რიცხვსა სახავენ და ერთად რთულ მრავლობით სუფიქსს ადგენენ. ამ „Собирательная“ ფორმას როგორც სადაც (ჯაგარი) ისე უფრო ახალს, გართულებულს (მუხნარი) რუსულ ენაში ასეთი სახელები ეთანადება, როგორც (известнякъ, ивнякъ, березнякъ და სხ. ისე, რომ ჩვენ რუსულს კი არ „ვბაძავთ“, ჩვენი საკუთარი დედა-ენისგან და ჩვენი ერის შემოქმედებისგან ვსწავლობთ და იმ ფორმების აღდგენს და გამრავლებას ვცდილობთ, რომელნიც, სამწუხაროდ, დაჩრდილულ იქმნენ უკანასკნელ საუკუნეებით. როგორც березы და березнякъ ან известь და известнякъ ერთი არ არის, სწორედ იმნაირადვე ერთი არ არის „სიტყვები“ და „სიტყვარი“, მაგრამ როგორც ერთი არ არის словарь და звонарь ან косарь, ისე ერთი არ არის ჩვენი სიტყვარი ან წიგნარი და თქვენს მიერ წამოყენებული მხედარი ან მყინვარი. ეს ორი უკანასკნელი სახელი სწორედ „არ“-იან სიტყვების ზემო-დასახელებულ მეორე ტიპს წარმოადგენენ, როცა „არ“ ჭანმეგრული წარმოშობისაა და ჩვენს „ელს“ უდრის (Ак Шанидзе: Два чан-мингрельскихъ суффикса, თუ არ ვცდებით) ეს დაბოლოება ხან საღაურობის გამოსახად იხმარება (ოპიზარი=ოპიზელი) ხან მოქმედების წარმომბელის აღსანიშნავად, მაშინ ეს დაბოლოება აუცილებლად ზმნას ეემება და არა არსებით სახელს როგორც სვანურ ფორმაში. მყინვარი ე. ი. მყინველი, მხედარი, ე. ი. (ცხენზე) მჯდომელი („ხედ“ ჭან-მეგრული ფესვია, ჩვენი „ჯდომ“-ის ტოლფასი; აქედან ჩვენი ვითომდა „წეს-გარეშე“ ფორმა სხედან; აქედანვე ჩვენი ცხენის ხედნა).

რა უშავს, რომ სიტყვარი სრულის შემთხვევით რუსულ словарь-ს ჰგავს? მხედარიც, ხომ სწორედ ამნაირადვე пономарь-секретарь-орарь (=пахарь) -ის ბადალს წარმოადგენს. თუ კი ეს ფორმები ჩვენი ენის სიმდიდრეს და საკუთრებას წარმოადგენენ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ და გამოვირგოთ ისინი ამ ახალ სიტყვების ზვავის შექმნაში, როცა რამდენიმე თვეში რამდენიმე ათი ათასი ახალი სახელი უნდა ჩავურთოთ ჩვენს ენაში და ამის შერევა შეუძლებელია? ტერმინი უნდა მკაფიოდ გამოირჩეოდეს საყოველდღეო ენის სიტყვებიდან, თუ წყალში გახსნილ ნივთობს „ხსნილი“ ჰქვია ცნება растворъ-ს სხვა ფორმიანი სახელი უნდა ამოერჩეს; მაგალ. ხსნარი თუ возящій-ს მატარებელი ჰქვია, моторъ-ს, ე. ი. „возъ“ ს სხვა რამე უნდა დაერქვას, მაგალითად მატარი грызущій—грызунъ; მკბენელი—მკბენარი და სხვ. სწორედ ამ სპეციფიურ სახელებისთვის გამოვირგეთ ყოველმხრივ ჩვენი ძველი ფორმები. ზემოაღნიშნული სვანური და მეგრული ფორმები, კიდევ შემდეგ სახელსახთათვის გამოვიყენეთ. სვანური ფორმა: წიარა (მოლეკულა, ე. ი. წიათ ატომთ კრება თანწყობა) წილარი—дробь, ე. ი. წილთა შემცავი რიცხვი (ხან მთელმეტი ხან მთელნაკლი) ძალარი—спиртъ (იხ. „ქიმია“) და სხვ. მეგრული: მხილარი—ревизоръ, მაგუბარი—аккумуляторъ (როგორც ბ. დ. გურამიშვილის მაცივარი—холодильникъ, (იხ. „კლდე“ 1913 წ. № 37) მაღვიძარი—будильникъ, რონარა—Трамвай (იმერ. „მარონიებულის“ გამოყენებით და ამ ცნების ამნაირად „მატარებელთან“ დასახლოვებლადაც მისგან მკაფიოდ გამოსარჩევადაც, რადგან ტეხნიკური განსხვავება მათ შორის არსებითია: პირველი მაღალ რელსებზე დადის, მეორე-კი პრ. ყელებზე) და სხვა და სხვა. ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი ტრანვაი ან გინდ ტრამვაიც ყოვლად მიუღებელი სახელია რადგან ეს სიტყვა არც ასე გამოითქმის ინგლისში tramway=ტრემვეი) არც იმას ნიშნავს, რა მნიშვნელობაც მას ჩვენში მიაწერეს (tramway=ტრამის გზას); საფრანგეთში სწორედ ამიტომ ჩვენ „трамвай“-ს მაღაროების პრტყელ რელსებზე საგორავ ვაგონეტკების ინგლისურ სახელიდან წარმოშობილი „Trame“ ჰქვია და არა ტრამ-ვაი; ჩვენი ტრამვაი და ხალხში „თავმჯდომარის“ ტოლფასად ხმარებული „პრეზიდიუმი“ ან „პროლეტარის“ მაგიერ ნახმარი „პროლეტარიატი“ ერთ თანრიგის მოვლენას წარმოადგენენ. ნუ—თუ, მართლაც, როგორც თქვენ ბრძანებთ ამ ტრამვაის მიკროსკოპის დიამეტრის ან ელექტრონის დატოვებით არაფერი დააკლდება ჩვენს ენას, ხოლო უხიამახების ელვისოს, შუამჭრის ან რონარას შემოღება კი ვერაფერს შემატებს ქართულს, გარდა გაუგებრობისა, გადაჭარბებისა“?!

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ თქვენს დედა-აზრს, რომელსაც თქვენ, არ ვიცით რატომ, ჩვენს დედა-აზრს „უპირდაპირებთ“. სრული ჭეშმარიტებაა „ვთარგმნოთ ის, რისი თარგმნაც შესაძლებელი და კანონიერია. ერი უნდა ამაღლდეს (ავამაღლოთ) ცნებათა გაგება ათვისებამდის და არა მეცნიერება ჩამოქვეითდეს ხალხის (თუ დილეტანტების?) გაუგებრობამდის“. განა ჩვენი ჯგუფის მთელი შრომა, და ყოველი მისწრაფება სწორედ ამ მიზანს და მხოლოდ ამ მიზანს არ ემსახურება?

მაგრამ თქვენი შეკითხვა კი პირდაპირ გასაოცარია: „ნუ თუ მზიდარი, ხხივი, ელვისი, ელრონარა ან შუქხახსნობა უფრო გასაგებია ან გასაგები იქნება ოდესმე, ვიდრე მაგნიტი, რადიუსი, ელექტრონი, ელექტრონული ტრანვაი ან ფოტოგრაფიაო?“ აქვს თუ არა ქართველ პედაგოგს უფლება მოახდინოს ასეთი ტრანსფორმაცია მოწაფის შეგნებაშიო?“

საშინელი მტერი ჰყავს წინსვლას—რუტინის ჩამჭამი ძალა და „ჩინოვნიკობა“, მაგრამ მეცნიერება და ერის ბუნებრივი ზრდის მისი თავისუფალი ფრთის შესხმის კანონები მაინც აუცილებლად თავისას გაიტანენ ბოლოს და ბოლოს.

ზეცამ იცის ჩრდილის ძალა
და მას ებრძვის სხივ-გაშლილი.

**რ. ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა.**
**გიორგი ნიკოლაძე.**

სტამბა სამხედრო სამინისტროსი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.